საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #36

2020 წელი 14 მაისი 12 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ლ.დარახველიძე, ნ.რუხაძე, ო.გრიგოლია,
ი. ჯიმკარიანი, ფ.ინჯია, ლ. არველაძე,
ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, შპს თბილსერვის ჯგუფის წარმომადგენლები დავით ჩარქელიანი და ბექა გოგლიძე, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მ/შ ნინო მაღრაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ნინო ლაცაბიძე

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე"
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთათვის ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე"
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დას უფთავების მოსაკრებელის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ 2020 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე
4. ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიმდინარე ღონისძიებების შესახებ

მოისმინეს:

1. ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ წარმოადგინა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე" პროექტი. მან აღინიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიზანს წარმოადგენს დედაქალაქში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, ასევე, იმისათვის, რათა კიდევ უფრო არ გაუარესდეს ზემოაღნიშნული პირების ფინანსური მდგომარეობა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების (გარდა ღია კაფეს განთავსების მიზნით გადაცემული ქონებისა) მიმღებთა მიმართ განხორციელდეს გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მარტის თვის მდგომარეობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა და ასეთ მოსარგებლეებს შორის გაფორმებულია ჯამში დაახლოებით 494 მოქმედი ხელშეკრულება. მოსარგებლეებს წარმოადგენენ სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირები. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოსარგებლეებისთვის 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდზე სარგებლობის ქირის შეცვლას და 0 (ნული) ლარით განსაზღვრას. აღსანიშნავია, რომ მოქმედი ხელშეკრულებების თანახმად, ზემოაღნიშნულ პერიოდზე გადასახდელი სარგებლობის ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 859,000.00 ლარს.

ამასთან, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, მოსარგებლეებს, რომელთაც 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვთ სარგებლობის

ქირა/ქირის ნაწილი, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი ჩაეთვლებათ მომავალი გადაუხდელი პერიოდის სარგებლობის ქირის ანგარიშში, გადახდილი პერიოდის პროპორციულად. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მარტის მდგომარეობით, 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე გადახდილი სარგებლობის ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 36,000.00 ლარს.

2. კორონა ვირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, დეკრეტისა და დადგენილების გამოცემამდეც რეგულარულად გასცემდა სხვადასხვა რეკომენდაციებს. ერთ-ერთი ასეთი პრევენციული ღონისძიება გულისხმობდა დახურულ სივრცეებში მოქალაქეთა ინტენსიური კონცენტრაციისგან თავის არიდებას, მათ შორის, თბილისში არსებული კაფე-ბარების ფუნქციონირების შეჩერების გზით.

ამგვარად, თავდაპირველად საბჭოს რეკომენდაციები, ხოლო შემდგომში ზემოხსენებული დეკრეტითა და დადგენილებით გათვალისწინებული შეზღუდვები აისახა და გავრცელდა ქალაქ თბილისში არსებულ ღია კაფეს ტიპის დაწესებულებებზეც. კერძოდ, მათ საგანგებო მდგომარეობის ვადით აეკრძალათ ფუნქციონირება, რაც დაკავშირებულია შესაბამისი მოიჯარეების ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესებასთან.

იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიზანს წარმოადგენს დედაქალაქში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, ასევე, იმისათვის, რათა კიდევ უფრო არ გაუარესდეს ზემოაღნიშნული პირების ფინანსური მდგომარეობა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სასყიდლით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეების მიმართ განხორციელდეს გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებები.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოიჯარეებისთვის 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე საიჯარო ქირის შემცირებასა და 0 (ნული) ლარით განსაზღვრას. აღსანიშნავია, რომ მოქმედი ხელშეკრულებების თანახმად, ზემოაღნიშნულ პერიოდზე გადასახდელი საიჯარო ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 603,000.00 ლარს.

ამასთან, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, მოიჯარეებს, რომელთაც 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვთ საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი ჩაეთვლებათ მომავალი გადაუხდელი პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში, გადახდილი პერიოდის პროპორციულად. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მარტის მდგომარეობით, 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე გადახდილი საიჯარო ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 18,000.00 ლარს.

3. მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ 2020 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე"

მანა ღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების საფუძველზე შეიზღუდა გარკვეული საქმიანობები, რომლის საფუძველზეც დედაქალაქში მოქმედმა რიგმა ობიექტმა (დაწესებულებები, ორგანიზაციები იურიდიულ პირები და ინდივიდუალურ მეწარმეები) ფუნქციონირება სრულად შეწყვიტეს.

ზემოაღნიშნული პროექტის მიხედვით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი არ დაერიცხებათ იმ პირებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ ფუნქციონირებენ (შეწყვეტილი აქვთ საქმიანობა ან სხვ.) და შესაბამისად არ წარმოქმნიან ნარჩენებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ეს პირები გათავისუფლდნენ მოსაკრებლის გადახდისაგან საგანგებო მდგომარეობის პერიოდში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა შესაძლებელია შეეწყდეს დაახლოებით 14 000-ზე მეტ კატეგორიას (9300-ზე მეტი აბონენტი), რომელთა ყოველთვიური საკარაუდო დარიცხვა შეადგენს 861565-მდე ლარს.

4. ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მ/შ ნინო მაღრაძემ წარმოადგინა სამსახურის მიმდინარე ღონისძიებები. მათ შორის:

ტურიზმი:

1. ტურიზმის სამოქმედო გეგმის გადაწყობა/მოდიფიცირება Covid 19 -ის შემდგომ პერიოდზე. მიმდინარეობს პროექტების და აქტივობების პოსტ-პანდემიური პერიოდის შესაბამისად დაგეგმვა.
2. შეიქმნა თბილისის საპრომოციო გზამკვლევი ჟურნალის Here Magazine ონლაინ პლატფორმაზე. გაიდი მოიცავს მერიის პროექტის „ვიტრუალური თბილისი"-ს (Virtual Tbilisi) და სხვა ტურისტული პროდუქტების შესახებ ინფორმაციას.
3. UNWTO/გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციასთან ერთად მიმდინარეობს თბილისის ტურიზმის სტრატეგიის ტექნიკური დავალების შემუშავება. უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს აღნიშნული სერვისის შესყიდვა, რაც გულისხმობს თბილისის 2020-2025 წლების ტურიზმის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.
4. გამოიცა მიმდინარე კვარტლის ნიუსლეთერი, რომელიც მიეწოდება დაახლოებით 4000 პირს, მათ შორის საერთაშორისო პლატფორმებს და ასოციაციებს.
5. მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვადასხვა ტურისტულ ასოციაციებთან შესაბამისი პლატფორმის შესაქმნელად, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვისაუბროთ თბილისში

Covid 19-ის ბრძოლის შედეგებსა და ტურისტულ პროდუქტებზე. ასევე, აღნიშნული თანამშრომლობის მიზანია ხელი შევუწყოთ ადგილობრივ კომპანიებს დაამყარონ საქმიანი ურთიერთობები უცხოელ პარტნიორებთან პოსტ პანდემიური პერიოდის გათვალისწინებით.

6. მიმდინარეობს პლატფორმაზე მუშაობა, რომლის მიზანიც არის გასაყიდი არხების შექმნა ტურიზმის სექტორში მოქმედი კომპანიებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ სხვადასხვა საიტებსა თუ საინფორმაციო პორტალებზე ინფორმაცია ხშირად ძველი ან არასრულია, შეიქმნება ახალი ბაზა განახლებული და სანდო მონაცემებით. ასევე, ტურიზმის სექტორის განვითარებასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ პირებსა და ობიექტებს (ტურისტული გიდები, საკვები ობიექტები, ღვინის ბარები, კონცეპტუალური მაღაზიები და ა.შ.) საშუალება ექნებათ, საიტზე განათავსონ შეთავაზებები, სიახლე ან ახალი წამოწყება, რომლის გაცნობაც სურთ ფართო საზოგადოებისთვის და რომლის მიზანი იქნება ტურისტების მოზიდვა და სექტორის განვითარების ხელშეწყობა. პლატფორმის ტექნიკურ მხარეზე მუშაობს „სპარკი". (ჩართულია ეკ. სამსახურის ბიზნესის განვითარების და ინოვაციების განყოფილებაც)
7. მიმდინარეობს კიდევ ერთ ვებ პლატფორმაზე მუშაობა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ტურიზმის სფეროში დასაქმებულ პირებს და კომპანიებს პრობლემების მოგვარებასა და ახალი პროექტების განხორციელებაში, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასა და ტურიზმის სფეროში არსებული კვლევებისა და უახლესი ინფორმაციის გაცნობაში. ვებგვერდზე იქნება ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც განთავსდება სხვადასხვა ტიპის მასალები ტურიზმის სფეროში. ასევე, პლატფორმას ექნება მენტორის ფუნქცია, მომხმარებლებს შეეძლებათ სხვადასხვა მიმართულებით (კვების ობიექტები, ტურისტული კომპანიები, სასტუმროები, ტრანსპორტი, შემოქმედებითი ინდუსტრია, საცალო ვაჭრობა და ა.შ.) წერილობითი ფორმით განათავსონ პრობლემა, რომელიც უკავშირდება მათ ბიზნესს, ან წარმოადგენსს ახალ ბიზნესმოდელს, რომლის განვითარებისთვისაც ესაჭიროება დახმარება, შესაბამისი მენტორი კი სრულიად უსასყიდლოდ დაეხმარება პრობლემის მოგვარებაში, მიაწვდის ინფორმაციას, პრაქტიკულ რჩევებსა და რეკომენდაციებს. ვებგვერდზე, ასევე, განთავსდება და მუდმივად განახლდება ინფორმაცია ტრენინგებისა და სემინარების შესახებ, რომლებსაც მერია უწევს ორგანიზებას ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისათვის. (ჩართულია ეკ. სამსახურის ბიზნესის განვითარების და ინოვაციების განყოფილებაც)
8. ბროშურა 20 Reasons to Love Tbilisi კონტენტის და დიზაინის შექმნა.

ინვესტიციები

1. ახალი საინვესტიციო სექტორების იდენტიფიცირება Covid 19_ის პოსტ-პანდემიური პერიოდის გათვალისწინებით. პოტენციური მიმართულებების შერჩევა მიმდინარე უპურატესობების შეფასებით და პანდემიამდე არსებული სექტორების რევიზია.
2. სააგენტო „აწარმოე საქართველოში" თანამშრომლობით, მხარდამჭერ პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციებისთვის გადამზადების კომპონენტში მხარდაჭერა

ტრეინინგების სივრცის მიმართულებით. ტრეინინგ ცენტრის მოძიება ახალი ან მზარდი საინვეტიციო პროექტებისთვის.

3. თბილისის ეკონომიკის და საინვეტიციო მიმართულებების შეფასების მიზნით სექტორული კვლევების და მიმოხილვითი დოკუმენტების მომზადება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს კრიზისის მიმდინარეობის და გატარებული ღონისძიებების გაზომვაში
4. თბილისის სატელევიზიო ანძის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში საინჟინრო და ობიექტის განვითარების დეტალური დიზაინის ტექნიკური დავალების შემუშავება ესტონურ კომპანია KoKo-თან კომუნიკაციით.
5. შეფასებების და გათვლების მომზადება ურბანული სამსახურის მიერ მოწოდებულ პროექტებზე.

კვლევები და ანალიტიკა

მიმდინარეობს ეკონომიკური გზამკვლევი „თბილისი ციფრებში" განახლება და Covid 19-მდე და შემდგომი პერიოდის ეკონომიკური პროცესების შეფასება.

აზრი გამოთქვეს:

ნ.ლაცაბიძემ, ლ.დარახველიძემ, ნ.რუხაძემ, ი.ჯიშკარიანმა, ო.გრიგოლიამ

სამსახურის წარმომადგენლებმა ამომწურავი პასუხები გასცეს ყველა დასმულ შეკითხვას.

]

დაადგინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრების მიერ მოწონებული იქნა ზემოაღნიშნული სამი პროექტი და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტების ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

ნ.ლაცაბიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე